KA020197651334022

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 15/2049

30 / მარტი / 2022 წ.

საქართველოს სამაცივრო და კრიოგენული
ტექნიკის და ჰაერის კონდიცირების ინჟინერთა
ასოციაციის პრეზიდენტს, ბ-ნ სულხან სულაძეს

ასლი: საქართველოს მთავრობის
ადმინისტრაციას

ბატონო სულხან,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შემდგომი რეაგირებისათვის შემოვიდა საქართველოს სამაცივრო და კრიოგენული ტექნიკის და ჰაერის კონდიცირების ინჟინერთა ასოციაციის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი გაგზავნილი წერილი (GOV 9 22 00007813), „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონით გათვალისწინებული მისაღები ნორმატიული აქტების შესახებ.

გვინდა გაცნობოთ, რომ "ენერგოეტიკეტირების შესახებ" საქართველოს კანონი და კანონით განსაზღვრული ქვემდებარე აქტების - რეგლამენტების მიღება გათვალისწინებულია საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით. აღნიშნული კანონის და ქვემდებარე რეგლამენტების მიღება, გარდა იმისა, რომ მიჩნეული იყო ქვეყანაში ენერგოეფექტურობის ერთ-ერთ წამანალისებელ ელემენტად, ამასთან ჩაითვალა, რომ მისი გავლენა ბაზარზე მოქმედ ოპერატორებზე ნაკლებად მოახდენდა რაიმე ტიპის ანალი ვალდებულებების დაკისრებას. აღნიშნული დადასტურებულია საერთაშორისო გამოცდილებითაც.

ამასთან, გვინდა გაცნობოთ, რომ ჯერ კიდევ კანონზე მუშაობის ეტაპზე სამინისტროს ჰქონდა შეხვედრები თითქმის ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ძირითადად ესენი იყვნენ მახვილი და საშუალო სიდიდის ექსპორტიორები. ხოლო, უკვე თავად კანონქვემდებარე აქტებზე მუშაობისას, გამომდინარე პანდემიით გამოწვეული სირთულეებიდან, სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს მუდმივად ჰქონდა კავშირი ონლაინ რეჟიმში, საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის აპარატთან, საქართველოს ბიზნეს ასოციაციასთან, ელიტ-ელექტრონიკის, LG--ს და სამსუნგის ოფიციალურ წარმომადგენლებთან საქართველოში. კანონქვემდებარე აქტების პროექტები შენიშვნებისა და წინადადებებისთვის ასევე გაეგზავნა ბიზნეს ომბუდსმენის ოფისს.

გვინდა აგრეთვე აღვნიშნოთ ის, რომ თქვენ სწორად გაქვთ მითითებული თქვენს წერილში - კანონი ენერგოეტიკეტირების შესახებ ეტიკეტის ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს განსაზღვრავს. კერძოდ, კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, კანონის მიზნად განსაზღვრულია: „საქართველოს ბაზარზე განთავსებული ან/და საქართველოში ექსპლუატაციაში გაშვებული ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარების შესახებ, აგრეთვე აღნიშნული პროდუქტის ენერგომოხმარების მაჩვენებლების შესახებ სტანდარტული ინფორმაციისა და დამატებითი ინფორმაციის პროდუქტზე მითითების უზრუნველყოფა, რაც მომხმარებელს საშუალებას მისცემს, ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარების შემცირების მიზნით უფრო ეფექტიანი პროდუქცია შეარჩიოს. ამ კანონის მიზანია აგრეთვე საქართველოს ბაზარზე განთავსებული ან/და საქართველოში ექსპლუატაციაში გაშვებული ენერგომომხმარებელი პროდუქტის ამ კანონითა და სათანადო ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა“.

გამომდინარე აქედან, ის მთელ რიგი ტექნიკური დეტალები, რაზეც თქვენს წერილშია საუბარი, არ წარმოადგენს "ენერგოეტიკეტირების შესახებ" კანონის რეგულირების სფეროს, ხოლო კანონქვემდებარე აქტი - ტექნიკური რეგლამენტი, განსაზღვრავს იმ ეტიკეტის ვიზუალურ მხარეს და შინაარსობრივ ნაწილს, რასაც ეს ეტიკეტი უნდა აკმაყოფილებდეს. ამასთან აღნიშნული ეტიკეტი აღიარებულია ევროკავშირის მიერ, გამოიყენება ევროკავშირის ბაზარზე და მის შინაარსობრივ ნაწილში და ვიზუალურ მხარეზე არ ხდება რაიმე ცვლილებების განხორციელება.

ინფორმაციისა და ვებგვერდის ადმინისტრირებისა

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

მინისტრის მოადგილე

რომეო მიქაუტაძე